პრესრელიზი
Press Release

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

საზოგადოებრივი მაუწყებელი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვასთან დაკავშირებით და უსამძიმრებს ქართველი გმირების ოჯახებს.

გუშინ, ინტერნეტსივრცეში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ავღანეთში მომხდარ ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე გავრცელებულ ანტიქართულ ვიდეოში გამოყენებული იყო „ტელეკომპანია პიკის“ ვიდეომასალა, რომელიც, თითქოსდა ინახება საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს, რომ 2012 წლის 13 ნოემბრის შეთანხმების საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და „ტელეკომპანია პიკ“-ს შორის შეწყდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მაუწყებელს გადაეცა „პიკ“-ის მიერ დამზადებული და სატელევიზიო ეთერში გასული ტელეპროდუქცია, რაც არ მოიცავს მასალის ორიგინალს, რომელიც დაცული უნდა იყოს და ინახებოდეს არქივში.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში" ინახება მხოლოდ „ტელეკომპანია პიკ“-ის საეთერო შეფუთვით გასული მასალა, ხოლო ყველა მასალის ორიგინალი კვლავ ინახება „ტელეკომპანია პიკ“-ში.